მტკიცების ტვირთი — სამოქალაქო პროცესის სამართლებრივი თანასწორობის საფუძველი

ხურცილავა რობიზონი - *ასოცირებული პროფესორი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

სანებლიძე მარიამ -*დოქტორანტი, სამართლის პროგრამა, კავკასიის უნივერისიტეტი, თბილისი, საქართველო*

The Burden of Proof — The Basis for Legal Equality in Civil Proceedings

Khurtsilava Robizoni - *Associate Professor, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

Saneblidze Mariam - *PhD Student, Program of Law, Caucasus University, Tbilisi, Georgia*

Abstract

Introduction and aim: The burden of proof is one of the fundamental institutions of civil procedure law, determining the parties' responsibility to present and substantiate factual circumstances relevant to the resolution of a dispute. Proper organization of the evidentiary process and fair allocation of the burden of proof directly affect the legality and justification of judicial decisions. This paper analyzes the role of the burden of proof through the lens of key civil procedure principles — such as adversarial proceedings, equality of arms, and party disposition.

The study explores the structure of the evidentiary process, from defining the object of proof to the stages of indicating facts, collecting, examining, and evaluating evidence. Special emphasis is placed on facts that do not require proof, including facts of general knowledge, preclusive (prejudicial) facts, and facts admitted by the parties.

Furthermore, the article examines the allocation of the burden of proof under Georgian civil procedure law and compares it with the approaches of various foreign legal systems, including German, French, Austrian, and Anglo-American practice. Case law examples and unified court practice from the Supreme Court of Georgia illustrate how the correct distribution of the burden of proof ensures fair outcomes in contractual, property, family, and labor disputes.

The aim of this research is to highlight the significance of the burden of proof as an essential guarantee for legal equality between parties in civil proceedings, to analyze how its correct application enhances the effectiveness of the justice system, and to provide insights that may contribute to the development of fairer procedural practice.

Overall, the paper demonstrates that the burden of proof is not merely a formal procedural tool but a key mechanism for protecting rights and balancing the interests of the parties, ultimately fostering trust in the judicial process.

Research methodology: The article uses combined research methods, which provides a thorough analysis of the topic from both a theoretical and practical perspective. First of all, the work is based on the dogmatic-legal method, within the framework of which the norms of the current civil procedural and substantive law of Georgia, as well as the doctrine and basic principles of law are analyzed.

The article widely uses the method of comparative law, the institution of the burden of proof is studied based on examples of foreign legal systems, especially on the basis of German, French, Austrian and Anglo-American legal practice.

The article pays special attention to the analysis of judicial practice. For this purpose, the decisions of the Supreme Court of Georgia and other key precedents are used, which allows studying the practical features of the distribution of the burden of proof in specific legal cases.

The research used systematic and logical-analytical methods to assess the interrelationship of individual norms and the logical sequence of each stage of the proof process.

Finally, the research methodology is focused on combining theoretical conclusions with practical examples, which ensures a full and comprehensive analysis of the issue and gives the work high scientific and practical value.

Results and implications: The study confirmed that the correct determination and allocation of the burden of proof has a direct impact on the fairness of civil court decisions and the assurance of legal equality.

It revealed that compared to foreign legal systems, Georgian law's adversariality and dispositional principles secure the active participation of the parties in the evidentiary process.

A practical implication is that judges and parties must properly consider substantive legal norms and correctly apply burden of proof principles to each case.

This paper provides both a theoretical and practical basis for improving legal standards and enhancing the efficiency of civil proceedings.

Conclusion: The burden of proof is one of the fundamental elements of civil proceedings, which determines the equality of the parties, ensuring procedural fairness and a lawful decision. It is directly related to the principles of dispositive and adversarial nature, since it is the parties who bear the responsibility for substantiating the disputed facts.

The correct distribution of the burden of proof determines the success of the process. In many legal systems, this principle is reinforced in different forms, but with common goals - the party must prove the circumstances that are beneficial to it. Despite some specific differences, for example, in labor, family or consumer disputes, where the court actively intervenes in the distribution of the burden to protect the weaker party, the general value remains unchanged - the burden of proof is an integral part of a fair trial.

Georgian judicial practice also emphasizes the importance of distributing the burden of proof in various types of cases and emphasizes the circumstances, the presence or absence of which determines the fairness of the decision. The effective and accurate administration of the burden of proof, including the standards arising from it, is essential for the effective functioning of civil justice.

Keywords: burden of proof, civil procedure, principle of competition, legal equality

აბსტარაქტი

შესავალი და მიზანი: მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ინსტიტუტია, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა პასუხისმგებლობას წარადგინონ და დაადასტურონ საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცების პროცესის სათანადო ორგანიზება და მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილება პირდაპირ გავლენას ახდენს სასამართლოს მიერ კანონიერისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაზე. ნაშრომში გაანალიზებულია მტკიცების ტვირთის როლი სამოქალაქო პროცესის ძირითად პრინციპებთან მიმართებაში.

სტატიაში აღწერილია მტკიცების პროცესის სტრუქტურა, მტკიცების საგნის განსაზღვრიდან ფაქტების მითითების, მტკიცებულებების შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების ეტაპებამდე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტებს, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილ, პრეიუდიციულ და მხარეთა მიერ აღიარებულ გარემოებებს.

ასევე დეტალურადაა განხილული მტკიცების ტვირთის განაწილების წესები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით და შედარებულია უცხოური სამართლებრივი სისტემების (გერმანული, ფრანგული, ავსტრიული და ანგლო-ამერიკული) მიდგომებთან. წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკის მაგალითები და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთიანი მიდგომები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების მნიშვნელობას ვალდებულებით, ქონებრივ, საოჯახო და შრომით სამართლებრივ დავებში.

კვლევის მიზანია, წარმოჩინდეს მტკიცების ტვირთის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში მხარეთა სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფის კონტექსტში, გამოიკვეთოს მისი სწორი გამოყენების როლი მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობის ასამაღლებლად და გამოითქვას რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამართლიანი საპროცესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საერთო ჯამში, ნაშრომი ადასტურებს, რომ მტკიცების ტვირთი არა მხოლოდ ფორმალური პროცედურული ინსტრუმენტია, არამედ უფლებების დაცვისა და მხარეთა ინტერესთა ბალანსის მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც სასამართლოს მიმართ ნდობას აძლიერებს და სამართლიანი მართლმსაჯულების საწინდარია.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატიაში გამოყენებულია კვლევის კომბინირებული მეთოდები, რაც უზრუნველყოფს თემის საფუძვლიან ანალიზს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში. პირველ რიგში, ნაშრომი ემყარება დოგმატურ-იურიდიულ მეთოდს, რომლის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმები, ასევე სამართლის დოქტრინა და ძირითადი პრინციპები.

სტატიაში ფართოდ არის გამოყენებული შედარებითი სამართლის მეთოდი, მტკიცების ტვირთის ინსტიტუტის შესწავლა ხდება უცხოური სამართლებრივი სისტემების მაგალითებზე დაყრდნობით, განსაკუთრებით გერმანული, ფრანგული, ავსტრიული და ანგლო-ამერიკული სამართლის პრაქტიკის საფუძველზე.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. ამ მიზნით გამოყენებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა საკვანძო პრეცედენტები, რაც საშუალებას იძლევა შეისწავლოს მტკიცების ტვირთის განაწილების პრაქტიკული თავისებურებები კონკრეტულ სამართლებრივ საქმეებში.

კვლევისას გამოყენებულია სისტემური და ლოგიკურ-ანალიტიკური მეთოდები, რათა შეფასდეს ცალკეული ნორმების ურთიერთკავშირი და მტკიცების პროცესის თითოეული ეტაპის ლოგიკური თანმიმდევრობა.

საბოლოოდ, კვლევის მეთოდოლოგია ორიენტირებულია იმაზე, რომ თეორიული დასკვნები დაერთოს პრაქტიკულ მაგალითებს, რაც უზრუნველყოფს საკითხის სრულფასოვან და ყოვლისმომცველ გაანალიზებას და აძლევს ნაშრომს მაღალი სამეცნიერო და პრაქტიკულ ღირებულებას.

შედეგები და გამოყენება: კვლევამ დაადასტურა, რომ მტკიცების ტვირთის სწორი განსაზღვრა და განაწილება პირდაპირ გავლენას ახდენს სამოქალაქო სასამართლო გადაწყვეტილების სამართლიანობაზე და სამართლებრივ თანასწორობაზე.
გამოვლინდა, რომ უცხოურ სამართლებრივ სისტემებთან შედარებით, ქართულ სამართალში შეჯიბრებითობის და დისპოზიციურობის პრინციპები უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურ მონაწილეობას მტკიცების პროცესში.
პრაქტიკული იმპლიკაციაა ის, რომ მოსამართლეებმა და მხარეებმა სათანადოდ გაითვალისწინონ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები და სწორად გამოიყენონ მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპები კონკრეტულ საქმეში.
ნაშრომი წარმოადგენს თეორიულ და პრაქტიკულ საფუძველს სამართლებრივი სტანდარტების დახვეწისა და სამართალწარმოების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.
დასკვნა: მტკიცების ტვირთი წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტს, რომელიც განაპირობებს მხარეთა თანასწორობას, პროცედურული სამართლიანობის უზრუნველყოფასა და კანონიერ გადაწყვეტილებას. ის პირდაპირ კავშირშია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებთან, რადგან სწორედ მხარეებს ეკისრებათ სადავო ფაქტების დასაბუთების პასუხისმგებლობა.
მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება განსაზღვრავს პროცესის წარმატებას. არაერთ სამართლებრივ სისტემაში ეს პრინციპი განსხვავებული ფორმით, მაგრამ ერთიანი მიზნებით არის განმტკიცებული, მხარე უნდა ამტკიცებდეს მისთვის სასარგებლო გარემოებებს. მიუხედავად ზოგიერთი სპეციფიკური განსხვავებისა, მაგალითად, შრომით, ოჯახურ ან სამომხმარებლო დავებში, სადაც სასამართლო აქტიურად ერევა ტვირთის გადანაწილებაში სუსტი მხარის დასაცავად, საერთო ღირებულება უცვლელია მტკიცებითი პასუხისმგებლობა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს განუყოფელ ნაწილს.
ქართული სასამართლო პრაქტიკა ასევე ხაზს უსვამს მტკიცების ტვირთის გადანაწილების მნიშვნელობას სხვადასხვა ტიპის საქმეებში და უსვამს ხაზს იმ გარემოებებს, რომლის არსებობა ან არარსებობა განსაზღვრავს გადაწყვეტილების სამართლიანობას. მტკიცების ტვირთის ეფექტური და ზუსტი წარმართვა, მათ შორის მისგან განშტოებული სტანდარტების გათვალისწინებით, აუცილებელია სამოქალაქო მართლმსაჯულების ეფექტური ფუნქციონირებისთვის.
საკვანძო სიტყვები: მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო სამართალწარმოება, შეჯიბრებითობის პრინციპი, სამართლებრივი თანასწორობა

შესავალი

სამოქალაქო საპროცესო სამართლისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი კანონის შესაბამისი და აქედან გამომდინარე, სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფაა, რომლის მთავარი საფუძველი სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესის ჯეროვანი განხორციელებაა. სამოქალაქო საქმეზე მტკიცება არის ერთადერთი გზა სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის, ვინაიდან, მტკიცების პროცესის მეშვეობით დგინდება იურიდიული ფაქტები,[1] რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების, განვითარებისა და შეწყვეტის საფუძველია.[2] მტკიცების პროცესი არის საქმისწარმოების მონაწილე სუბიექტების საქმიანობა, რომელიც ეფუძნება სამოქალაქო პროცესის საერთო პრინციპებს და ადგენს ფაქტობრივი გარემოებების არსებობის ან არარსებობის საკითხს. სამოქალაქო სამართალწარმოებისას მტკიცების პროცესი წარმოადგენს სასამართლოს და საქმის მონაწილე მხარეების დეტალურად მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინება საქმეზე Nას-1206-1166-2016.
[2] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 149.

ფაქტების დადგენა, ფაქტების დადგენაზეა დამოკიდებული მხარეთა შორის არსებული დავის არსებითი გადაწყვეტა.[3] ფაქტების დადგენა კი თავის მხრივ მტკიცებულებებით ხორციელდება.

მტკიცებითი სამართალი ემყარება საპროცესო და მატერიალურ კანომდებლობას, რომლის ზუსტად განსაზღვრაზეა დამოკიდებული მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და კანონიერება.[4] მტკიცებითი საქმიანობის განმსაზღვრელ პროცესუალურ-სამართლებრივ ნორმებს აქვს ზოგადი და სპეციალური ხასიათი, ზოგადი დებულებები საერთოა ყველა მტკიცებითი საქმიანობისათვის, ხოლო სპეციალური ხასიათის ნორმები, განსაზღვრავს კონკრეტული ურთიერთობისათვის დამახასიათებელ სპეციალურ დანაწესს. როგორც აღინიშნა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებიც დიდ გავლენას ახდენენ მტკიცებით საქმიანობაზე, ფაქტობრივად, უმეტეს შემთხვევაში სწორედ მატერიალურ სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავენ მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს, ასევე, მტკიცების ტვირთის განაწილებას, პრეზუმფციების როლს მტკიცების ტვირთის განაწილებისას, მტკიცებულების განკუთვნადობას და დასაშვებობას,[5] შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორი ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს მტკიცების პროცესის წარმართვისას.

სამოქალაქო სამართლებრივი დავისას მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს რა მოხდა სინამდვილეში, რაც არ არის იოლი, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში მოსარჩელის ჩვენება არ ემთხვევა მოპასუხისას, ასევე, უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი არსებობს თუ არა. ამ მხრივ, მტკიცებითი საქმიანობა მოიცავს შემდეგ სტადიებს: მტკიცების საგნის განსაზღვრა, ფაქტების მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის განაწილება, მტკიცებულებათა შეგროვება, გამოკვლევა და შეფასება. შესაბამისად, მტკიცებითი სამართალი განსაზღვრავს ვინ უნდა წარადგინოს მტკიცებულებები, როდის უნდა შეაგროვოს ისინი მოსამართლემ, რა სახით უნდა მოხდეს აღნიშნული და როგორ უნდა შეფასდეს.[6] მტკიცებითი საქმიანობის თითოეული სტადია დეტალურად არის რეგულირებული სამოქალაქო საპროცესო სამართლით. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მტკიცების პროცესში მხარეებს ეკისრებათ სამართლებრივი მოვალეობა იმოქმედონ კეთილსინდისიერად. მხარეები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საქმისწარმოების სამართლიანად წარმართვას და დასრულებას. სამოქალაქო სამართალწარმოების დროს მტკიცებითი საქმიანობა მოიცავს მოსარჩელის მიერ უფლებებისა და მოთხოვნების მტკიცებას, ხოლო მოპასუხის მხრიდან მათ უარყოფას. საპროცესო სამართალწარმოება უზრუნველყოფს, რომ მხარეებმა შეძლონ თავიანთი უფლებების სათანადოდ განხორციელება და კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. მტკიცების პროცესის ზემოთ აღნიშნული თითოეული ეტაპის ზუსტად დაცვაზეა დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობა, აღნიშნული მიიღწევა მხოლოდ საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის სწორი ანალიზითა და დაცვით, ასევე, მხარეების მხრიდან თავიანთი საპროცესო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებით, რაც საბოლოოდ სასამართლოს აძლევს საშუალებას საკუთარი შინაგანი რწმენისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე მიიღოს კანონიერი და სამართლებრივი გადაწყვეტილება.

---

[3] ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2015, 249.

[4] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012,, 22.

[5] თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010, 134.

[6] ჰერმანი თ., მტკიცებულებითი სამართალი, ეთერ ჩაჩანიძის თარგმანი, თბილისი, 2016, 3.

საინტერესოა უცხოური სამართლის მიდგომა მტკიცების პროცესთან დაკავშირებით. მტკიცების პროცესის როლი ქართული და გერმანული სამოქალაქო სამართალის სისტემაში თითქმის იდენტურია. გერმანული სამართალი, როგორც კონტინენტურ ევროპული სამართლის ოჯახის წარმომადგენელი, განასხვავებს მტკიცებას ვიწრო გაგებით და პროცესუალური გაგებით. მტკიცება ვიწრო გაგებით მოაიზრებს მოსამართლის პრაქტიკულ საქმიანობას, რომლის შედეგად მოსამართლის შინაგანი რწმენა ყალიბდება არა ინტუიციის, ინსტიქტისა და გრძნობის საფუძველზე, არამედ, ობიექტურ საფუძველზე საქმის გარემოებებსა და გადაწყვეტილების სისწორეში დაფუძნებულად. ფრანგულ საპროცესო სამართალთან ქართული და გერმანული საპროცესო სამართლის შედარება, გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცება არის სადავო გარემოებების დადგენის საპროცესო მოქმედება და არა ობიქტური ჭეშმარიტების მიღწევის საშუალება, განსხვავებით ფრანგული საპროცესო სამართლისგან, სადაც მტკიცებითი საქმიანობა მოსამართლის აქტიური როლით ხასიათდება და მის მიერ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ვალდებულებას მოიცავს.[7] სწორედ ამიტომ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი ადგენს საქმის მონაწილე მხარეების ვალდებულებას დაეხმარონ სასამართლოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში.[8]

რაც შეეხება ანგლო-ამერიკულ სამართალს, მაგალითად, აშშ-ს სამართლებრივ სისტემაში, ძირითადად, არსებობს მტკიცების სამი განსხვავებული დონე: ყველაზე დაბალი სტანდარტი, რომელიც მოითხოვს მტკიცებას იმის დასადასტურებლად, რომ ფაქტები არის „უფრო სავარაუდო, ვიდრე არა“, ეს სტანდარტი ვრცელდება სამოქალაქო საქმეებზე, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ ფულად მოთხოვნებს. მეორე დონეა მკაფიო და დამაჯერებელი მტკიცების სტანდარტი იმის ნაცვლად, რომ "უფრო სავარაუდოა, ვიდრე არა", ეს სტანდარტი მოითხოვს უფრო "მაღალ ალბათობას", მტკიცების მესამე სტანდარტია- „გონივრულ ეჭვის მიღმა“ რომლის დაკმაყოფილებაც ყველაზე რთულია, ის ზოგადად დაცულია სისხლის სამართლის საქმეებისთვის, სადაც ბრალდებულის სიცოცხლე და თავისუფლება საფრთხეშია.[9]

ზოგადად, მტკიცების სწორად გაგებისათვის არსებითად მნიშნელოვანია შემდეგი მომენტები: 1. მტკიცება არის საქმის მონაწილეთა და პროცესის მონაწილეთა იურიდიული საქმიანობა, რომელიც დეტალურად წესრიგდება საპროცესო სამართლის ნორმებით; 2. მტკიცების ცნება განუყოფელ კავშირშია მტკიცებულებებთან, ვინაიდან, შეუძლებელია ფაქტების შემეცნება მტკიცებულებების გარეშე; 3. სასამართლო მტკიცება საპროცესოსთან ერთად ლოგიკური საქმიანობაცაა, ვინაიდან, მტკიცების პროცესი და შედეგი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს, ერთი მხრივ, საპროცესო საქმიანობა უნდა შეიცავდეს ლოგიკურ აზროვნებას, ხოლო, მეორე მხრივ, აზრობრივი საქმიანობა საპროცესო ფორმაში უნდა განხორციელდეს.[10] ამდენად, სასამართლო მტკიცება არის კანონითა და ლოგიკური აზროვნებით შემოფარგლული პროცესი, რომელიც ეფუძნება მონაწილე მხარეთა მიერ მტკიცებულებებით გამყარებულ სამართლებრივ საქმიანობას.

---

[7] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 30.

[8] Code de procédure civile. ხელმისაწვდომია აქ: https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006070716/ (უკანასკნელად გადამოწმდა 27.02.2020წ).

[9] Miller V., The Burden of Proof in Civil Lawsuits, Maryland, 2021. ხელმისაწვდომია აქ: https://www.marylandinjurylawyerblog.com/burden-proof-civil.html (უკანასკნელად გადამოწმდა 22.01.2022წ).

[10] ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2015, 251.

1. მტკიცების საგანი, როგორც მტკიცების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი

როგორც უკვე აღინიშნა, მტკიცების პროცესი ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას ფაქტობრივი გარემოებების დადგენას უკავშირდება, შესაბამისად, წინასწარ უნდა განისაზღვროს თუ რომელი ფაქტების დადგენაა აუცილებელი. ამრიგად, „ის, რისი დამტკიცება-დადასტურების მიზნითაც ხორციელდება მტკიცებითი საქმიანობა არის მტკიცების საგანი".[11] საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანს, ის გარემოებები შეადგენს, რომლებსაც პროცესუალურ სამართალურთიერთობაში წარმოადგენს სამართლებრივი ფაქტები.[12] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი განმარტავს, თუ რომელი გარემოებები უნდა დამტკიცდეს და ვინ უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო საქმის განხილვის და გადაწყვეტის მიზნით.[13] დამტკიცებას საჭიროებს ის გარემოებები, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნას და ფაქტობრივ გარემოებას ასაბუთებს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნისა და ფაქტობრივი გარემოებების უარყოფას.[14] თითოეული მხარე თავის სარჩელსა თუ შესაგებელს საფუძვლად უდებს ფაქტებს, რომლებიც, წარმოიშვა მხარეებს შორის მატერიალური სამართალურთიერთობიდან, შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები წარმოადგენენ,[15] რომლებსაც მოსარჩელე მოთხოვნის საფუძვლად, ხოლო მოპასუხე გასაქარწყლებლად უთითებს. თუმცა მტკიცების საგანი მხოლოდ მატერიალური სამართლიდან არ გამომდინარეობს და შესაძლოა საპროცესო სამართლებრივი ხასიათის ფაქტებიც იყოს, მაგალითად, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის შუამდგომლობა,[16] რომელიც მხარეებმა უნდა დაამტკიცონ პროცესუალური სამართლის ნორმებით განსაზღვრული გარემოებებით. აქედან გამომდინარე, მტკიცების საგანი განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, მტკიცების საგანს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები განეკუთვნება, რომლის საშულებითაც მხარეთა მოთხოვნების და შესაგებლების საფუძველი დგინდება, ხოლო ფართო გაგებით მტკიცების საგანში შედის ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც ენიჭება მნიშვნელობა სწორი გადაწყვეტილების მისაღებად,[17] მათ შორის საპროცესო სამართლებრივი ფაქტებიც.

1997 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე არსებობდა ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის პროცესუალური პრინციპი[18], პრინციპის არსიდან გამომდინარე, სასა-

---

[11] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 152.

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის განჩინება საქმეზე Nას-664-635-2016.

[13] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა ,,სამართალი'', თბილისი, 2007, 200.

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინება საქმეზე Nას-1206-1166-2016.

[15] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის განჩინება საქმეზე Nას-664-635-2016,

[16] ასეთი შუამდგომლობა შესაძლოა იყოს აცილების შესახებ, საქმისწარმოების შეჩერების შესახებ, განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. იხ. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2015, 271.

[17] თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010, 99.

[18] ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპი არ გამოირჩევა ალბათობისკენ მიდრეკილებით, საქმეზე უნდა დადგინდეს სადავო გარემოებების უტყუარობა, დღეს-დღეობით ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპი

მართლო სარგებლობდა უფლებით გასულიყო სარჩელის საგნისა და საფუძვლის გარეთ, რაც იწვევდა არა მხოლოდ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას, არამედ, მხარეთა ნების გამოხატვისა და ავტონომიურობის დარღვევასაც.[19] სამოქალაქო საპროცესო სამართლის ბოლო წლების ცვლილებების გათვალისწინებით, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის თანახმად, მხარეები თავად განსაზღვრავენ ფაქტებს, რომლებსაც საფუძვლად უდებენ თავიანთ მოთხოვნებს.[20] შესაბამისად, მტკიცების საგნის განსაზღვრას აქვს არსებითი მნიშვნელობა მხარეებისათვის სასურველი შედეგის მისაღწევად, როგორც სარჩელის შემთხვევაში, ასევე, შესაგებლის მიმართებაშიც. ვინაიდან, მატერიალური შედავება სარჩელის სამართლებრივი შედეგის წინააღმდეგ არის მიმართული, სსსკ ითვალისწინებს ისეთ ეფექტურ თავდაცვის საშუალებას, როგორიცაა მოპასუხის შესაგებელი. შესაგებელში ვლინდება, როგორც შეჯიბრებითობის, ასევე, დისპოზიციურობის პრინციპიც (სსსკ-ის მე-3 მუხლი), რომლის მიხედვითაც საპროცესო კანონმდებლობა მხარეების უფლებების ავტონომიური განკარგვის შესაძლებლობას ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელის წარმატება თუ წარუმატებლობა თანაბრად არის დამოკიდებული, როგორც სარჩელის, ისევე, შესაგებლის კვალიფიციურობაზე,[21] რადგან სამართლის იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს დამოუკიდებლად არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად ფაქტები, რომლებიც მხარეებს არ მიუთითებიათ.[22] თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლო საერთოდ არ ერევა მტკიცების საგნის განსაზღვრის პროცესში, მაგალითად, მოსამართლეს შეუძლია ისეთი საკითხი მოხსნას განხილვისგან, რომელიც მტკიცების საგანს არ მიეკუთვნება და არ აქვს კავშირი განსახილველ საქმესთან. შესაბამისად, მხარეთა მიერ დაშვებული ერთგვარი შეცდომა, რაც გამოიხატება ისეთი ფაქტების მითითებაში, რომლებიც იურიდიულად ვერ ამართლებენ მოთხოვნას, უნდა გამოასწოროს სასამართლომ,[23] რომ არ მივიღოთ არსებითად არასწორი გადაწყვეტილება.

ამერიკული სამართალი მტკიცების საგანთან მიმართებაში მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ქართულისგან, ამერიკის სამართალწარმოებაში მტკიცების საგანს მოსარჩელისათვის ის ფაქტები წარმოადგენენ, რომლებიც მან საქმის მოსაგებად უნდა დაამტკიცოს, ხოლო მოპასუხისათვის, ის ფაქტები, რომლებითაც მან თავი უნდა დაიცვას. მტკიცების საგნის წყაროსაც ქართუ-

---

სამოქალაქო საქმეების ნაცვლად გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც მოქმედებს ,,გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი''.

[19] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 37.

[20] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=149 (უკნასკნელად გადამოწმდა: 26.03.2022 წ).

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმე Nას-1352-2021.

[22] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, 87; ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2004, 64. მითითებულია: საქართველოს უზენაესის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმე Nას-679-2021 მიხედვით.

[23] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 156.

ლი სამართლის მსგავსად მატერიალური ნორმები წარმოადგენს, ხშირ შემთხვევაში კი დასამტკიცებელი ფაქტების ერთობლიობა.[24]

ამდენად, მტკიცების საგანი მოიცავს სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ ფაქტებს, შესაბამისად, მტკიცების საგანი სწორედ მათი შინაარსით განისაზღვრება.[25] მტკიცების საგნის განსაზღვრა მტკიცების პროცესის საწყისი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, რომლის არასწორად ფორმულირებამ შესაძლოა მტკიცების პროცესის არსებითად არასწორად გაგრძელება და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება გამოიწვიოს.

1.1 მტკიცების საგნის განსაზღვრის საპროცესო სამართლებრივი აუცილებლობა

„როგორც სამართლის მეცნიერებაში არის აღნიშნული, მტკიცების საგნად გვევლინება სადავო ფაქტები"[26] ხოლო თუ რა ფაქტები უნდა შევიდეს მტკიცების საგანში ამაზე მიგვითითებს კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მფლობელის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.[27] როგორც ვხედავთ, ნორმა უთითებს, რომ დავაში უნდა დამტკიცდეს ერთი მხრივ, საკუთრების უფლება და ის, რომ მესაკუთრე ვერ ფლობს საკუთრებაში არსებულ ნივთს, ხოლო საპირწონედ მოპასუხე მხარემ უნდა დაამტკიცოს, ნივთის სამართლებრივად ფლობა. საკასაციო სასამართლომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის სარჩელთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მტკიცების საგანში არსებული სამი ელემენტიდან (მოსარჩელის საკუთრების უფლება, ნივთის მოპასუხის მფლობელობაში ყოფნა, ნივთის მოპასუხის მიერ არამართლზომიერად ფლობა) მოსარჩელე მხარეს ეკისრება პირველი ორი ელემენტის დადასტურების ვალდებულება, ხოლო მესამე ელემენტზე კანონი მას მხოლოდ მითითების ვალდებულებას აკისრებს, რაც შეეხება მოპასუხეს, მის მტკიცების საგანში მესამე ელემენტი შედის, კერძოდ, ნივთის მართლზომიერად ფლობის დადასტურება.[28] აღნიშნული ცხადყოფს, რომ ნორმა პირდაპირ მიუთითებს, ფაქტებზე, რომლებიც უნდა შევიდეს მტკიცების საგანში, ამ მხრივ, მატერიალური სამართალი, როგორც მხარეებს, ისე სასამართლოს გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში აქცევს. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების საგანი არ უნდა გავაიგივოთ სარჩელის საგანთან, ვინაიდან, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რადგან სარჩელის საგანი არის კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც მოპასუხეს მოსარჩელე უყენებს და რომელიც მტკიცების საგანში შემავალ იურიდიულ ფაქტებს ეყრდნობა.

სასესხო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ს 623-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სესხის ხელშეკრულება არის რეალური, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოიშობა არა მხოლოდ მხარეთა მიერ არსებით პირობებზე შეთანხმებით, არამედ, ხელშეკრულების საგნის მსესხებლისთვის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან,[29] ამრიგად, სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილ

---

[24] ლილუაშვილი გ, სამოქალაქო საქმეებზე ამერიკის მტკიცებულებითი სამართალი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2010, 188.

[25] თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010, 99.

[26] М. Треушников. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г., стр., 95. მითითებულია: თოდრია თ., სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010, 96., მიხედვით.

[27] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117 (უკანასკნელად გადამოწმდა:25.03.2022წ).

[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის განჩინება საქმეზე Nას-453-435-2016.

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე Nას-1245-1168-2015.

დავაზე მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოება უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულების საგნის გადაცემაა. სხვა საქმეზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა ხელშეკრულების საგნის გადაცემის მომენტიდან.[30] ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოხდება მოსარჩელის მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურება (ხელშეკრულების საგნის გადაცემის ფაქტის დადასტურება) და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მითითება, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მსესხებელმა მოპასუხე მხარემ, სესხის დაბრუნების ვალდებულება არ შეასრულა, მანამ სანამ მოპასუხე მხარე არ დაადასტურებს საპირისპიროს, კერძოდ, ვალდებულების შესრულებას.[31] სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სესხის ხელშეკრულების შემთხვევაშიც მტკიცების საგანი მატერიალური სამართლის ნორმიდან გამომდინარეობს, რომელიც ხელშეკრულების საგნის გადაცემის, ვალის დაბრუნების წარმოშობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება/შეუსრულებლობის საკითხის დადასტურებას მოიცავს.

ყურადღებამისაქცევია, შესაგებლის ტიპიც, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას. საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე[32] განმარტავს, რომ არსებობს რამდენიმე სახის შესაგებელი, რომელიც ხასიათიდან გამომდინარე განსხვავებული სამართლებრივი დატვირთვის მატარებელია. მაგალითად, მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის შემთხვევაში მოპასუხე არ დაობს მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებზე, იგი ეთანხმება მოსარჩელეს ვალდებულების წარმოშობასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნავს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა, ვინაიდან, მისი მხრიდან ვალდებულება სრულად შესრულდა, ასეთი მოცემულობის დროს მტკიცების საგანში მხოლოდ ერთი გარემოება უნდა შევიდეს - ვალდებულების შესრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელემ უნდა მიუთითოს ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო მოპასუხემ უნდა დაადასტუროს შესრულება. შესაგებელი ასევე შესაძლოა იყოს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი, ასეთ შემთხვევაში მოპასუხე მხარე, აღიარებს, როგორც მოთხოვნის არსებობას, ასევე, მისი მხრიდან ვალდებულების შესრულებას, თუმცა მოთხოვნა მიაჩნია ხანდაზმულად და უარს აცხადებს შესრულებაზე, ასეთ შემთხვევაში მტკიცების საგანს სწორედ მოთხოვნის ხანდაზმულობის დადასტურება წარმოადგენს. შესაგებლის კიდევ ერთი სახეა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, ასეთ დროს მოპასუხე არ ეთანხმება მტკიცების საგანში არსებულ ფაქტებს, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადასტურება/მითითებაზეა დამოკიდებული სარჩელის ბედი.

ამდენად, მტკიცების საგნის განსაზღვრის წყაროები სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტებია, რომელთა დადგენაზე არის დამოკიდებული საქმის არსებითი განხილვა.[33] შესაბამისად, მტკიცების საგანი მოიცავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სადავო ფაქტებს, ამ მხრივ ერთმანეთისაგან განასხვავებენ ფაქტებს, რომლის დადასტურებისთვისაც მტკიცებულებათა წარნმოდგენაა საჭირო და ფაქტებს, რომლებიც იურიდიული მნიშნელობის მქონეა და მტკიცებას არ საჭიროებს.[34] იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ

---

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე Nას-361-343-2015.

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განჩინება საქმეზე Nას-929-891-2014

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 02 მარტის განჩინება საქმეზე Nას-1295-2021.

[33] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 47.

[34] Gottwald P., Beweislast und Beweisführung im Wettbewerbsprozeß, Rechtsvergleichende Untersuchung zum deutschen, amerikanischen und schwedischen Recht, GRUR Int 1982, 695, მითითებულია: გაგუა ი., სამართლის

მტკიცებას მიეკუთვნებიან საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მტკიცების საგანში არ შედიან, შესაბამისად, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მტკიცების საგანი და ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცების საგანი მოიცავს ფაქტებს, რომლებზეც მხარეები დაობენ, ხოლო ფაქტობრივი გარ-მოებები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებთან ერთად ისეთ ფაქტებსაც მოიცავს, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ.

1.2 ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი ითვალისწინებს ფაქტებს, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთი ფაქტებია: ფაქტები, რომლებიც საყოველთაოდ არის ცნობილი და ფაქტები, რომლებიც ერთ სამოქალაქო საქმეზეა დადგენილი სასამართლოს კანონიერ ძა-ლაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ (პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტები). იმისათვის, რომ ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად მივიჩნიოთ აუცილებელია ამ ფაქტის არსებობის შესახებ იცოდეს ადამიანთა ფართო წრემ, მათ შორის საქმის განმხილველმა მოსამართლემ.[35] მაგალითისთვის, ასეთი ფაქტებია: სტიქიური მოვლენები, საომარი და საგანგებო მდგომარეობები და ა.შ. საკასაციო პალატა ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს, რომ ტერმინი საყოველთაო წარმომდგარია სიტყვისგან „ყველა“, რაც გულისხმობს, რომ ფაქტის საყოველთაოდ აღიარებისთვის საჭიროა აღნიშნული ფაქტის შესახებ თუ ყველა ადამიანისთვის არა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის მაინც უნდა იყოს ცნობილი. აღნიშნულ საქმეზე საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ არაკეთილსინდისიერ შემძენად პირის მისაჩნევად, საკმარისია ტელევიზიით თუ პრესით გავრცელებული ინფორმაცია საქართველოს სინამდვილეში ამ პირის (არბიტრის) დაკავების შესახებ, ისე, რომ მხარე არ უთითებს მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებენ აღნიშნულ გარემოებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შემძენის არაკეთილსინდისიერად მისაჩნევად არ არის საკმარისი მხოლოდ ტელევიზიით და პრესით ინფორმაციის გავრცელება, მით უფრო, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს გავრცელებულ ინფორმა-ციაში იყო თუ არა საუბარი სადავო ნივთზე.[36] საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებთან დაკავში-რებით, საკასაციო პალატა აგრეთვე განმარტავს, რომ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად ფაქტის მიჩნევისთვის, საჭიროა ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ადამიანს მიუხედავად, ასაკისა და სტატუ-სისა ერთნაირად მიუწვდებოდეს ხელი და იცნობდეს აღნიშნულ ფაქტს, მაგალითად, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ არჩევნების ჩატარება, რადგან წინასაარჩევნო კამპანიის, მედია საშუალე-ბების, სხვადასხვა პირების თუ ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და განხორ-ციელებული ღონისძიებების შედეგად, თუნდაც მინიმალურ ინფორმაციას ფლობს მოსახლეობის უმრავლესობა.[37] შესაბამისად, საყოველთაოდ ფაქტის ცნობისათვის მისი მასშტაბურობა და ხელმისაწვდომობა მთავარ კრიტერიუმებს წარმოადგენენ.

როლი ფა ფუნქცია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს განაწილებისას, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2013, 48, მიხედვით.

[35] ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2015, 274.

[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 იანვარის განჩინება საქმეზე Nას-811-760-2010.

[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქმეზე Nას-1320-1246-2012.

მტკიცებას არ საჭიროებს და მტკიცების ტვირთისგან გათავისუფლების მეორე საფუძველია ფაქტის პრეიუდიციულობა.[38] ეს საკითხი ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია, მაშინ, როდესაც სამოქალაქო საქმეზე მართალია კმაყოფილდება მოსარჩელის მოთხოვნა, მაგრამ იგი სამოტივაციო ნაწილით უკმაყოფილოა, მაგალითად, როდესაც ნივთის ნაკლის გამო სამოტივაციო ნაწილში მითითებულია უფრო დაბალი თანხის დაკისრება, ვიდრე მოსარჩელეს რეალურად სურდა, შესაბამისად, მოსარჩელე ისევ ვეღარ იდავებს თანხის გაზრდაზე, რადგან მოპასუხე მხარეს შეუძლია მიუთითოს, გადაწყვეტილებაზე, როგორც პრეიუდიციულ ფაქტზე. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, რამდენად დაცულია პირის უფლება, როდესაც არ აქვს უფლება გაასაჩივროს ის ფაქტი, რომელიც მის ინტერესებში რჩება? ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა უთითებს გადაწყვეტილების ფორმალურ (სსსკ-ს 264-ე მუხლი) და მატერიალურ (სსსკ-ის 266-ე მუხლი) კანონიერ ძალაზე და აღნიშნავს, რომ ფორმალური კანონიერი ძალა გულისხმობს დავის განხილვის დასრულებას, ხოლო მატერიალური განსაზღვრავს გადაწყვეტილების ხასიათს და სავალდებულოობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე და საქმეში მონაწილე პირთა წრეზე, შესაბამისად, გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას, თუ სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი ფაქტია სადავო და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით.[39] აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, პირს ერთმევა გასაჩივრების უფლება, თუმცა, მეორე მხრივ, პირი, რომელიც რეალურად არის გამარჯვებული და მაინც გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას, აღნიშნული არც თუ სასიკეთოდ აისახება სასამართლო პრაქტიკაზე. სხვა საქმეზე უზენაესმა სასამართლომ პრეიუდიციულ ფაქტთან მიმართებაში, აგრეთვე განმარტა, რომ ფაქტის პრეიუდიციულად მიჩნევისთვის სასამართლო უნდა დარწმუნდეს ამ ფაქტის იურიდიულ მნიშვნელობაში, კერძოდ, კი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა ეფუძნებოდეს ამ ფაქტს, წინაღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული არ მიიჩნევა პრეიუდიციულ ფაქტად და უნდა შევიდეს მტკიცების საგანში.[40]

2010 წლის 24 სექტემბერს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სსსკ-ის 106-ე მუხლიდან ამოღებულია მესამე ფაქტი, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას, კერძოდ, 106-ე მუხლის „გ“ პუნქტი- „ფაქტები იმის შესახებ ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.“[41] თუმცა იმავე წლის 15 დეკემბრის კანონით აღნიშნული ნორმის ამოღების საპირწონედ, კოდექსს დაემატა XXXIV[3] თავი, რომლის მიხედვითაც, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს, განსხვავებული წესი მოქმედებს, კერძოდ, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც მითითებულია კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში დადგენილად მიიჩნევა.[42] აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ცალკეული დელიქტით მიყენე-

[38] ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2015, 275.

[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 07 სექტემბრის განჩინება საქმეზე Nას-710-1011-09.

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის განჩინება საქმეზე Nას-146-140- 2012.

[41] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა ,,სამართალი'', თბილისი, 2007, 209.

[42] მესხიშვილი ქ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, რჩეული მუხლები, თბილისი, 2020, 565.

ბული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან.“ მოსარჩელეს კანონი აკისრებს ვალდებულებას, გამარტივებული საქმის წარმოებით განსახილველად, სარჩელს თან დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, რომლის საფუძველზე სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს.[43] აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ასეთ ფაქტს აღარ იკვლევს და მიიჩნევს დადგენილად, შესაბამისად, ფაქტად, რომელსაც არსებობა ან არარსებობის მტკიცება აღარ სჭირდება.

მტკიცებას ზემოთ აღნიშნული ორი ფაქტის გარდა, აგრეთვე არ საჭიროებს უდავო ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ უდავო ფაქტები სსსკ-ის 106-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული, ისინი მაინც არ შედიან მტკიცების საგანში,[44] რადგან ასეთ ფაქტებზე მხარეები არ დავობენ.[45] შესაბამისად, იმ ფაქტს, რომელსაც მხარე სადაოდ არ ხდის-აღიარებს. უდავო ფაქტები შეიძლება დაიყოს ფაქტის აღიარებად და საკუთრივ უდავო ფაქტად, თუმცა საბოლოო შედეგით ისინი არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რადგან ორივე მათგანი ამოირიცხება მტკიცების საგნიდან.[46] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობა ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. აღნიშნულის მიხედვით, მხარემ ფაქტობრივი გარემოებები საქმის წარმოების დროს უნდა აღიაროს ან მისი ქმედებიდან უნდა გამომდინარეობდეს ასეთი აღიარება. მხარის ზეპირად ან წერილობითი ფორმით განმარტებისას უნდა ირკვეოდეს, რომ მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებებზე და ფაქტებზე ნათელი წარმოდგენა აქვს და ეთანხმება მათ. ახსნა-განმარტებები, რომლებიც ორაზროვანი ან ბუნდოვანია არ შეიძლება ჩაითვალოს აღიარებად, თუ არ იკვეთება მხარის ნება ნათლად.[47] მხარის აღიარება, როგორც ფაქტის აღიარება, უნდა გაიმიჯნოს სარჩელის აღიარებისაგან (სსსკ-ის მე-3 მუხლი), ვინაიდან საკუთვრივ ამა თუ იმ ფაქტისა და სრულად სარჩელის აღიარება განსხვავებული იურიდიული შედეგის გამომწვევია.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების შესაბამისად, მტკიცებას აგრეთვე არ საჭიროებენ პრეზუმფციები, ანუ ვარაუდები ფაქტის არსებობა ან არარსებობასთან დაკავშირებით. ასეთი ვარაუდები კი შესაძლოა წარმოიშვას მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებიც უნდა დადგინდეს ან წინასწარ არის ცნობილი.[48] ვარაუდები ხშირ შემთხვევაში მატერიალური კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, მაგალითისთვის სსკ-ის 477-ე მუხლის საფუძველზე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გამყიდველისათვის მყიდველის მიერ შეთანხმებული ფასის გადახდა ხდება ქონების მიღების დროს, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. თუმცა აღნიშნული ვარაუდი იმთავითვე არ ნიშნავს, რომ დავის შემთხვევაში მტკიცებას არ

---

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება საქმეზე Nას-862-2019.

[44] ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა (შევსებული და გადამუშავებული), გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი, 2015, 279.

[45] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 158.

[46] თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010, 128.

[47] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1167-1429-09.

[48] ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 159.

საჭიროებს ფასის გადახდის ან ქონების მიღების დადასტურება. სსკ-ის 158-ე მუხლის თანახმად, ნივთის მფლობელი ივარაუდება მის მესაკუთრედ, აღნიშნული დანაწესიც იმთავითვე არ გამორიცხავს მტკიცების აუცილებლობას, უფრო მეტიც, ფაქტობრივად, მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე უთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ დავის შემთხვევაში ერთმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ნივთს, რომელსაც ფლობს არის მისი მესაკუთრე, ხოლო მოდავე მხარემ საწინააღმდეგო. შეიძლება ითქვას, რომ პრეზუმფციების წარმატება არ არის განპირობებული მათი არსებითი დამაჯერებლობით, არამედ, მათ ერთგვარი შემავსებლის როლი ეკისრებათ. შესაბამისად, ვარაუდები არ შეიძლება ამოირიცხოს მტკიცების საგნიდან, პირიქით, აღნიშნული ვარაუდების შესაბამისად უნდა გადაწყდეს ფაქტების მითითებისა და მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი, აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზუმფციები არ წარმოადგენენ ფაქტებს, რომლებსაც მტკიცება არ სჭირდებათ.

ამერიკულ საპროცესო სამართალშიც მსაგავსად ქართული საპროცესო სამართლისა არის ისეთი ფაქტები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთი ფაქტებია: წელიწადის დროები, მოვლენა, რომელიც მოხდა იმ სასამართლოს ტერიტორიაზე, რომელიც საქმეს იხილავს და საყოველთაოდ ცნობილად არის მიჩნეული, მოპასუხის მხრიდან აღიარება და პრეიუდიციული ფაქტები, სადაც ერთი და იგივე მხარეები არიან.[49] ინგლისის მტკიცებულებითი სამართალიც თითქმის ქართული საპროცესო სამართლის მსგავსად არეგულირებს აღნიშნულ საკითხს, თუმცა ქართული სამართლისგან განსხვავებით ინგლისის მტკიცებულებითი სამართალი სასამართლოსთვის პერსონალურად ცნობილ ფაქტებსაც მიიჩნევს, ფაქტებად, რომელსაც არ სჭირდება მტკიცება. ვინაიდან, მტკიცებითი საქმიანობა მოიცავს სასამართლოს ფაქტის არსებობა ან არარსებობაში დარწმუნებას, ინგლისის მტკიცებითი სამართლისთვის მოკლებულია დასაბუთებას ისეთი ფაქტის არსებობა ან არარსებობის მტკიცება, რომელიც სასამართლოსთვის ისედაც ცნობილია.[50]

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში ფაქტები აშკარაა ან საყოველთაოდ ცნობილია, თუ ისინი ცნობილია ხალხის დიდი რაოდენობისათვის, ან თუ მათი გარკვევა ადვილია, ან თუ ისინი ცნობილია სასამართლოსთვის თავისი ოფიციალური საქმიანობიდან გამომდინარე. სასამართლოს შეუძლია ასეთი ფაქტების გათვალისწინება ერთ-ერთი მხარის მტკიცების გარეშე, თუმცა სასამართლომ მხარეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი აზრი ამ ფაქტებთან დაკავშირებით, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა მხარეთა მოსმენის უფლება.[51] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით, ფაქტები, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია არ საჭიროებს მტკიცებულებით დასაბუთებას, აგრეთვე, მხარის მხრიდან გაკეთებული აღიარება ფაქტის არსებობა ან არარსებობის შესახებ არ საჭიროებს მტკიცებას.[52] შესაბამისად, ფაქტები ან გარემოებები უნდა ჩაითვალოს ჭეშმარიტად და არ უნდა იყოს შეფასებული სასამართლოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპირისპირო არ გამოვლინდება სასამართლო პროცესის მსვლელობისას.

---

[49] ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საქმეებზე ამერიკის მტკიცებულებითი სამართალი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2010, 189.

[50] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 44.

[51] Nunner-Krautgasser B., Anzenberger P., Evidence in Civil Law –Austria, 2015, 34. ხელმისაწვდომია აქ: https://library.oapen.org/viewer/web/viewer.html?file=/bitstream/handle/20.500.12657/32001/620430.pdf?sequence=1&isAllowed=y (უკანასკნელად გადამოწმდა:24.04.2022წ).

[52] German Code of Civil Procedure – Zivilprozessordnung 288-291. ხელმისაწვდომია აქ: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 24.04.2022წ).

ლიტვის საპროცესო კანონმდებლობაც ათავისუფლებს გარკვეულ ფაქტებს მტკიცების ტვირთისაგან, ასეთებია: აშკარა ფაქტები ან გარემოებები, რომლებსაც სასამართლო აცხადებს საყოველთაოდ ცნობილად, ვინაიდან, ცნობილია ადამიანთა ფართო წრისათვის ან თუ ისინი სასამართლოსათვის ცნობილია თავისი ოფიციალური საქმიანობიდან გამომდინარე. ლიტვის კანონმდებლობით მტკიცებას აგრეთვე არ საჭიროებს აღიარება, როდესაც მხარე აღიარებს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტების ნამდვილობას, თუმცა სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ასეთი აღიარება მოტყუების, ძალადობის ან გარკვეული ზემოქმედების ნიადაგზე არ მომხდარა.[53]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მცირე განსხვავებების გარდა, აშკარაა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში საერთოა სამართლის ზოგადი მიდგომა, იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას და შესაბამისად არ შედიან მტკიცების საგანში, ვინაიდან, წარმოადგენენ ფაქტებს, რომელთა არსებობა ან არარსებობის საკითხი ისედაც ცნობილია.

1.3 ფაქტების მითითება, როგორც მტკიცების პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპი

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სასამართლო სამართალწარმოების დროს,[54] შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების რეალიზება მხარის უფლებების სამართლებრივი დაცვის გარანტიაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებულია დისპოზიციურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე მხარის ნება გადამწყვეტია საქმის განხილვისათვის, სასამართლო კი მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენითა და შემდგომ მათი შეფასებით შემოიფარგლება. ხოლო სსსკ-ის მე-4 მუხლის სამოქალაქო სამართალწარმოებას შეჯიბრებითობის პრინციპს აფუძნებს, რომელიც მოიცავს მხარეების საქმიანობას მტკიცებით პროცესში. სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრიციპიდან გამომდინარე, მტკიცების პროცესის შემდეგი და მნიშვნელოვანი ეტაპია მხარეთა მიერ ფაქტების მითითება. საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის თანახმად, „მოსაჩელემ თავის სასარჩელო განცხადებაში უნდა მიუთითოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, აგრეთვე მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს,“[55] ამავე, კოდექსის მე-11 მუხლი კი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას მტკიცებით საგანში ისეთი გარემობებიც შეიტანოს რაც მხარეს არ მიუთითებია,[56] შესაბამისად, საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავდა ე.წ. საგამოძიებო პრინციპს, რომელიც ცხადია გარკვეულ პრობლემებსაც წარმოშობდა, მაგალითად, საქმის გაჭიანურება, ვინაიდან, სასამართლო ფაქტების მოძიებას, შემოწმებას და შეფასებას საკმაოდ დიდ დროს უთმობდა, ასევე, მხარეთა მნიშვნელობა სამართალწარმოებაში ერთგვარად კნინდებოდა, რადგან ფაქტების მითითება სულაც არ იყო მოვალეობა, მეტიც, მიუთითებლობა ან არასრული მითითება, შესაძლოა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის მომტანი არ ყოფილიყო.

---

[53] Tamošiūnienė E., Bolzanas D., Augytė-Kamarauskienė L., Evidence in Civil Law – Lithuania, 2015, 15. ხელმისაწვდომია აქ: https://www.pf.um.si/site/assets/files/3223/evidence_in_civil_law_-_lithuania.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა: 07,05,2022).

[54] საქართველოს კონსტიტუცია, 62-ე მუხლის მე-5 ნაწილი. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 (უკანასკნელად გადამოწმდა: 21.04.2022წ).

[55] საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მითითებულია ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 160, მიხედვით.

[56] საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მითითებულია ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005, 161, მიხედვით.

კანონმდებელმა აღნიშნული ხარვეზი მოქმედ კანონმდებლობაში ფაქტების მითითების პროცედურის მკაცრად ფორმალიზებით აღმოფხვრა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ფაქტები სასამართლოს კანონით დადგენილი წესის დაცვით უნდა წარედგინოს. აღნიშნული ფორმალიზება დამკვიდრებული შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, ფაქტების მითითების ტვირთი პროცესუალური თვალსაზრისით გულისხმობს მხარის უფლებას გამოხატოს მოსაზრებები განსაზღვრულ ფაქტებთან დაკავშირებით, თუ თავისი უფლების დაცვა სურს. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ფაქტების მითითება მხარის უფლებაცაა და ფაკულტატური მოვალეობაც.[57] რომლის შეუსრულებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მხარისათვის გარკვეული სანქციის დაწესებას არ ითვალისწინებს, თუმცა „სანქცია“ ერთგვარად იმაში გამოიხატება, რომ პროცესის შედეგი მხარეს მისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

ფაქტების მითითების პროცესი ფორმალიზებასთან ერთად თავისუფალიცაა, ვინაიდან, მხარეებს, უფლება აქვთ მიუთითონ ნებისმიერი ფაქტი, რომელსაც თავიანთი მოთხოვნისა თუ შესაგებლის დასადასტურებლად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, თუმცა მითითება მხოლოდ იმაზე, რომ უარყოფენ მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არ არის საკმარისი, მხარეთა ახსნა-განმარტებები უნდა იყოს ყველა იმ გარემოებების შემცველი, რომელიც უკავშირდება დავას, რომ აღნიშნულმა შეიძინოს საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა. ამგვარად, ფაქტობრივ გარემოებებს მითითებასთან ერთად უნდა გააჩნდეს შინაარსობრივი დასაბუთებულობა, რადგან სასამართლომ სავალდებულოდ გასათვალისწინებლად მიიჩნიოს.[58] საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა უფლებას თავიანთი მოთხოვნებისა და თუ შესაგებლის დასაბუთება თავადვე განახორციელონ, მხარეებმა თავად უნდა განსაზღვრონ ფაქტები, რომლებსაც საფუძვლად უდებენ თავიანთ მოთხოვნებს, აგრეთვე, უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე რომლის საფუძველზედაც უნდა დასაბუთდეს მათ მიერ მითითებული ფაქტები.[59] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ უთითებს მხარეების ამგვარ მოვალეობაზე (178-ე და 201-ე მუხლები),[60] მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე არ ცნობს სარჩელს, უნდა მიუთითოს გარემოებები რომლებიც უარყოფენ მოსარჩელის მოთხოვნებს. შესაბამისად, „მოსარჩელე არის მხარე, რომელიც ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტვას მის მიერ ფაქტების და მტკიცებულებების სრულყოფილად წარდგენის გზით, ამასთანავე, მოპასუხეა მხარე, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების გამომრიცხველი და შემაფერხებელი შესაგებლის წარდგენით კვალიფიციურ შედავებას ახორციელებს.“[61] „da mihi factum, dabo tibi ius“- „მომეცი ფაქტები და მოგცემ სამართალს“ პრინციპის თანახმად, სასამართლო მოქცეულია მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების შეფასების ჩარჩოში. სამართლებრივი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია მხარეებმა მიუთითონ ყველა სადავო ფაქტობრივ გარემოებაზე, შეიყვანონ ისინი მტკიცების საგანში, რადგან სასამართლო შეზღუდულია მხარეებს ხელი შეუწყოს ფაქტების მითითების პროცესში.

---

[57] ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2004, 31.

[58] ჰაგენლოხი უ.., მტკიცების ტვირთი გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2018, 19. ხელმისაწვდომია აქ: http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Onus_of_Proof.pdf (გადამოწმდა: 12.04.2022 წ).

[59] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-516-2021.

[60] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117 (25.03.2022წ).

[61] მესხიშვილი ქ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, რჩეული მუხლები, თბილისი, 2020, 437.

საფრანგეთის კანონმდებლობაში მხარეები განსაზღვრავენ საქმის წარმოების ჩარჩოებს. მოსამართლე ვერ დააფუძნებს თავის გადაწყვეტილებას იმ ფაქტებზე, რომლებიც თავად მხარეებმა არ წარმოადგინეს.[62] ესპანეთის სამოქალაქო სამართალწარმოებაში განსაზღვრულია, რომ: პროცესი უნდა დაიწყოს მოსარჩელის მიერ სარჩელის შეტანით, რომლის შინაარსი განისაზღვრება თავად მხარის გადაწყვეტილებით, მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს გადაწყვიტონ პროცესის დასრულება, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას მოქმედებაზე, მოპასუხეს შეუძლია აღიაროს პასუხისმგებლობა და ორივე მხარეს შეუძლია მიაღწიონ შეთანხმებას,[63] შეჯიბრებითობის და დისპოზიციურობის პრინციპის გათვალიწინებით ესპანეთის კანონმდებლობაშიც მხარეები თავად განსაზღვრავენ ფაქტებს, რომლებსაც უთითებენ სადავო გარემოებების დასადასტურებლად, შესაბამისად, ფაქტების მითითების ტვირთთან დაკავშირებით ქართული სამართლის მსგავსია სხვადასხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართალი, და ზოგადად, ფაქტების მითითების ტვირთი გულისხმობს მხარეების ვალდებულებას მიუთითონ ფაქტები, რომლებსაც ემყარება მათი სადავო მოთხოვნები.

2. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება

მტკიცების საგნის განსაზღვრისა და ფაქტობრივი გარემოებების მითითების შემდეგ მტკიცების პროცესის შემდეგი ეტაპია მტკიცების ტვირთის განაწილება. მტკიცების ტვირთიც მხარის ფაკულტატური მოვალეობაა, როგორც ფაქტების მითითითების ტვირთი, სანქიაც მსგავსია და მხარის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მისთვის არასასურველი შედეგის დადგომაში გამოიხატება, შესაბამისად, იურიდიულ კონტექსტში, მტკიცების ტვირთი გადამწყვეტ როლს ასრულებს საქმის წარმატებაში. ტერმინი მტკიცების ტვირთი მომდინარეობს ლათინური ტერმინიდან "onus probandi"-რომლის მიხედვითაც, მტკიცების ტვირთი არის მხარეების ვალდებულება დაამტკიცონ ან გააქარწყლონ სადავო ფაქტები. მტკიცების ტვირთის განაწილება არის იმის დადგენა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი მტკიცებულების წარდგენაზე, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს სარჩელს, ასევე, იმის განსაზღვრა რამდენი და რა სახის მტკიცებულებაა საჭირო ამ მიზნის მისაღწევად. მტკიცების ტვირთის მნიშვნელობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სამოქალაქო სამართალწარმოებისას მხარეთა ნების ავტონომიის გათვალისწინებით. ერთი მხრივ, მხარეს შესაძლოა საფუძვლიანი მოთხოვნა ჰქონდეს, თუმცა, მეორე მხრივ, ვერ მიიღებს მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას თუ ვერ დაამტკიცებს მისთვის სასარგებლო სადავო გარემოებებს,[64] შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარის მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზება გადამწყვეტი ფაქტორია სასურველი საპროცესო შედეგის მისაღებად.

მას შემდეგ რაც საქართველოში სამოქალაქო სამართალწარმოება დაეფუძნა შეჯიბრებითობის, თანასწორობის და დისპოზიციურობის პრინციპს, განისაზღვრა მტკიცების პროცესში მხარეთა აქტიურად ჩართულობის აუცილებლობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა განსაზღვრა რა საშუალებებით და ვინ უნდა დაამტკიცოს მხარეთა შორის არსებული სადავო გარემოებები. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამართალწამოებისას მხარეებმა უნდა მიუთითონ მათ სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და ამასთანავე დაამტკიცონ კიდეც სადავო

[62] Oudin M., Evidence in Civil Law –France, 2015, 6. ხელმისაწვდომია აქ: https://library.oapen.org/viewer/web/viewer.html?file=/bitstream/handle/20.500.12657/31999/620432.pdf?sequence=1&isAllowed=y (უკანასკნელად გადამოწმდა:22.03.2022წ).

[63] Mallandrich Miret N., Evidence in Civil Law –Spain, 2015, 8. ხელმისაწვდომია აქ: https://library.oapen.org/viewer/web/viewer.html?file=/bitstream/handle/20.500.12657/31992/620440.pdf?sequence=1&isAllowed=y (უკანასკნელად გადამოწმდა: 22.01.2022წ).

[64] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-1232-2021.

ფაქტები.[65] აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც მტკიცების ტვირთი სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებიდან გამომდინარე მხარეებს თანაბრად ეკისრებათ, შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს მოთხოვნებს, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც ეყრდნობა შესაგებელი.[66] რაც შეეხება მითითებას, იმის შესახებ, რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მატერიალური სამართალი.[67] „ მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილება მიუთითებს, არა მარტო იმაზე თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენისგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე.“[68] შესაბამისად, მოსარჩელეს მხოლოდ იმ გარემოებების დამტკიცების ვალდებულება ეკისრება, რომელსაც მოპასუხე მხარე არ ეთანხმება, მოპასუხემ კი თავის მხრივ, უნდა მიუთითოს ყველა იმ ფაქტზეც, რომელსაც არ ეთანხმება და დაამტკიცოს თუ რატომ არ ეთანხმება მათ.[69] ამრიგად, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც მოთხოვნას წარმოშობს, ხოლო მოპასუხემ ყველა გარემოება, რომელიც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.[70] მტკიცების ტვირთის განაწილება სარჩელში არსებულ მოთხოვნასა და ამ მოთხოვნის გაქარწყლებაზეა დაფუძნებული, ხოლო მაშინ, როდესაც მოპასუხე ცნობს სარჩელს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაც არ წარმოებს,[71] შესაბამისად, მოსარჩელე თავისუფლდება ფაქტების მტკიცებისგან და არც ვალდებული არ არის წარმოადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები.

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის განაწილებას, როგორც წესი ის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა აწესრიგებს, რომელიც სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელია.[72] მატერიალური სამართლის ნორმა განსაზღვრავს ფაქტებს, რაც მტკიცების საგანში უნდა შევიდეს ამასთანავე რომელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, როგორც მესაკუთრის, შესაბამისად, მტკიცებულება უძრავი ნივთის საკუთრების დადასტურებისას უნდა იყოს მხოლოდ წერილობითი საბუთი. მართალია ნორმა პირდაპირ არ უთითებს მტკიცების ტვირთის განაწილებაზე, თუმცა ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ვინც საკუთრების უფლებაზე უთითებს მანვე უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება და დაამტკიცოს კიდეც. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მატერიალური სამართლის ნორმა ერთგვარ წინააღმდეგო-

---

[65] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ხელმისაწვდომია აქ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117 (უკანასკნელად გადამოწმდა:25.03.2022წ).

[66] ჰერმანი თ., მტკიცებულებითი სამართალი, ეთერ ჩაჩანიძის თარგმანი, თბილისი, 2016, 8. ხელმისაწვდომია აქ: http://lawlibrary.info/ge/books/giz2016-ge-mtkicebulebiti_samartali.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა: 24.02.2022წ).

[67] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, გამომცემლობა ,,სამართალი'', თბილისი, 2007, 202.

[68] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 09 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-502 -2021.

[69] ამილახვარი თ., მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში, მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, სტატიათა კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 8.

[70] ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბ., 2003, 64.

[71] გაგუა ი., სამართლის როლი და ფუნქცია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას, სამართლის ჟურნალი N1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 48. ხელმისაწვდომია აქ: http://www.library.court.ge/upload/Samar%20jurn%202013%201.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა: 23.02.2022წ).

[72] მესხიშვილი ქ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, რჩეული მუხლები, თბილისი, 2020, 424.

ბაში მოდის სსსკ-ის 102-ე მუხლთან, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1012-ე მუხლის შესაბამისად, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის დადგომისას, მტკიცების ტვირთი სრულად ეკისრება დაზარალებულს, ასეთ დროს დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს, რომ ზიანი მას წუნდებული პროდუქტის გამოყენებით მიადგა და ეს პროდუქტი ნამდვილად იყო წუნდებული.[73] დაზარალებულისათვის მტკიცების ტვირთის სრულად დაკისრებით მატერიალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მისი, როგორც მომხმარებლის შესაძლებლობებს, სწორად განსაზღვროს და შეაფასოს რა შეცდომა დაუშვა მწარმოებელმა, რომელიც გახდა მიზეზი პროდუქტის წუნდებულობისა.

მტკიცების ტვირთის ძირითად მახასიათებლებთან დაკავშირებით იდენტური პარალელებით ხასიათდება კონტინენტურ ევროპული სამართლის სისტემა და ინგლისური სამართალი.[74] საფრანგეთის კანონმდებლობაში მტკიცების ტვირთის შესახებ პირდაპირ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო შეჯიბრებითობის პრინციპის ცენტრალური პოზიციიდან, რომელიც გამოხატულია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლში: „თითოეული მხარის პასუხისმგებლობაა კანონის შესაბამისად დაამტკიცოს მისი სარჩელის წარმატებისთვის აუცილებელი ფაქტები.“[75] მხარეებს ევალებათ დაამტკიცონ თავიანთი მოთხოვნები, თუ ვერც ერთმა მხარემ ვერ დაამტკიცა თავისი პრეტენზიები, მაშინ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმე იმ პირის საზიანოდ, ვისაც მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა.[76] საფრანგეთის მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისად, მაგალითად, ვალდებულებით ურთიერთობებში „პირმა, რომელიც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაადასტუროს მისი არსებობა“, ხოლო ის ვინც აცხადებს, რომ ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლებულია, უნდა წარმოადგინოს გადახდის ან ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებულება.[77] რაც შეეხება გერმანიის კანონმდებლობას, შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება საფუძლად უნდა დაედოს მხოლოდ მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, ხოლო მხარეები არიან მტკიცების ტვირთის მატარებელნი, რომელთა ვალდებულებაა დაადასტურონ მათ მიერ მითითებული ფაქტები. აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობის მსგავსად მტკიცების პროცესს მნიშვნელოვანწილად მატერიალურ-ამართლებრივი ნორმა განსაზღვრავს, რომლის საფუძველზედაც წარმოიშვა ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 345-ე მუხლის თანახმად, „იმ შემთხვევაში თუ მოვალე სადაოდ ხდის პიგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაადასტუროს, რომ შეასრულა ვალდებულება თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში“.[78] შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში

---

[73] ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება *ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო სანშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015, 181.

[74] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 18.

[75] Code de procédure civile. ხელმისაწვდომია აქ: https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006070716/ (უკანასკნელად გადამოწმდა 27.02.2020წ).

[76] Oudin M., Evidence in Civil Law –France, 2015, 15. ხელმისაწვდომია აქ: https://library.oapen.org/viewer/web/viewer.html?file=/bitstream/handle/20.500.12657/31999/620432.pdf?sequence=1&isAllowed=y (უკანასკნელად გადამოწმდა:22.03.2022წ).

[77] French civil code (art. 1315). ხელმისაწვდომია აქ: https://www.fd.ulisboa.pt/wp-content/uploads/2014/12/Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code-english-version.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა: 23.03.2022წ).

[78] German civil code. ხელმისაწვდომია აქ: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p1249 (უკანასკნელად გადამოწმდა:22,03,2022წ).

მატერიალური სამართლის ნორმა, რომელიც სადავო ურთიერთობას უდევს საფუძვლად, აწესებს, როგორც მტკიცების საგანს აგრეთვე უთითებს მტკიცების ტვირთის მხარეებს შორის განაწილებაზეც.

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს ზოგადი წესი მტკიცების ტვირთის შესახებ, კერძოდ, ნებისმიერმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი შედეგისათვის ყველა ფაქტობრივი მოთხოვნის არსებობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ შესაბამისი ფაქტები ან გარემოებები გაურკვეველი რჩება, მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს თითქოს დადასტურდა, რომ ფაქტი არ არსებობს ან გარემოება არ მომხდარა.[79] ამ მხრივ, ავსტრიის საპროცესო კანონმდებლობაც ქართულის მსგავს დანაწესებს შეიცავს, მოსამართლის როლი შეზღუდულია მხარეთა აქტიურობის პრინციპის საპირწონედ და პროცესის ბედიც მხარეთა ჩართულობაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ანგლო-ამერიკულ სამართალს, ინგლისურ კანონმდებლობაში ერთმანეთისგან განასხვავებენ მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთს და მტკიცების ტვირთს.[80] მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი დავის ძირითადი საკითხების გამოვლენაში მდგომარეობს და მატერიალური სამართლის ნორმებთან არის დაკავშირებული, ხოლო მტკიცების ტვირთის ძირითადი არსი მხარის ვალდებულებაზე უთითებს და ამბობს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს,[81] მტკიცების ტვირთი მის მატარებელ სუბიექტებთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ამერიკულ სამართალს, ამერიკული სამოქალაქო პროცესი იცნობს მტკიცების პროცესის სტანდარტს – „more likely true than not true"- მხარეებმა სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უნდა დაარწმუნონ მოსამართლე, რომ რისი დამტკიცებაც მათ მოეთხოვებათ, უფრო სავარაუდოა, რომ სიმართლეა, ვიდრე, რომ არ არის სიმართლე,[82] სამოქალაქო საქმეში მტკიცების სტანდარტი არის მტკიცება ალბათობათა ბალანსზე, ეს ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთის მატარებელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ გარემოებები უფრო სავარაუდოა, ვიდრე არა.[83] თუმცა არსებობს გარკვეული სამოქალაქო საქმეები, რომლებიც მოითხოვენ მკაფიო და დამაჯერებელ მტკიცების სტანდარტს,[84] შესაბამისად, მტკიცების ტვირთიც სწორედ აღნიშნულ სტანდარტს ეფუძნება და მხარეებს აკისრებს ვალდებულებას მათი მოთხოვნების თუ მოთხოვნების გამაქარწყლებელი გარემოებები დაამტკიცონ, არა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, არამედ, „სავარაუდო სიმართლით".

---

[79] Nunner-Krautgasser B., Anzenberger P., Evidence in Civil Law –Austria, 2015, 17. ხელმისაწვდომია აქ: https://library.oapen.org/viewer/web/viewer.html?file=/bitstream/handle/20.500.12657/32001/620430.pdf?sequence=1&isAllowed=y. (უკანასკნელად გადამოწმდა:23.03.2022წ).

[80] გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში-დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4(27), 2010, 23. ხელმისაწვდომია აქ:
https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ABA27.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა:09.04.2022წ).

[81] გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში-დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4(27), 2010, 24. ხელმისაწვდომია აქ:
https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ABA27.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა:09.04.2022წ).

[82] Tangeman J. M., Judicial Council of California Civil Jury Instructions, LexisNexis Matthew Bender Official Publisher, 2021, 40. ხელმისაწვდომია აქ:
https://www.justia.com/documents/trials-litigation-caci.pdf (უკანასკნელად გადამოწმდა: 23.03.2022წ)

[83] Redmayne M., Standards of Proof in Civil Litigation, modern law review, 167.

[84] Crump B., What Is Burden of Proof and Why Is It Important?, 2019. ხელმისაწვდომია აქ: https://bencrump.com/faqs/what-is-burden-of-proof-and-why-is-it-important/ (უკანასკნელად გადამოწმდა: 24.04.2022წ).

მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა უთითებს, როგორც ერთი მხარის ისე, მეორე მხარის ვალდებულებაზე დაამტკიცოს მისთვის ხელსაყრელი გარემოება, შესაბამისად, ფაქტების დამტკიცების ვალდებულების მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეზე დაკისრება ვერ იქნებოდა მიზანშეწონილი, ვინაიდან, ცალკე აღებული, ვერც ერთი მხარე და მათ შორის ვერც სასამართლო ვერ შეძლებს საქმეში არსებულ ყველა სადავო გარემოების დამტკიცებას, რომელთა გარეშეც შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა.[85] მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი - ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).[86]

მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება მნიშვნელოვანია სასამართლო ხარჯების წინასწარ გადახდისა და განაწილების თვალსაზრისითაც. ვინაიდან, მხარეს, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე მოწმის გამოძახების ან ექსპერტის მოწვევის თაობაზე ეკისრება ხარჯების წინასწარ გადახდის მოვალეობაც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო თავისი ინიციატივით გამოითხოვს მტკიცებულებებს, რაც მხარეთა შორის ხარჯების თანაბრად განაწილებას გულისხმობს.[87] თუმცა მხარეს, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი მარტივად არ შუძლია თქვას უარი შუამდგომლობის წარდგენაზე და სასამართლოს ინიციატივას დაელოდოს, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხარჯები თანაბრად განაწილდეს.

2.1 მტკიცების ტვირთის განაწილება სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით

მტკიცების ტვირთის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი სწორად განაწილება განაპირობებს სასამართლოს მიერ კანონიერ და დასაბუთებულ გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებას და მხარისათვის იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულების დაკისრებას, რომელიც მეორე მხარის დასამტკიცებელია არაკანონიერ გადაწყვეტილებამდე მივყავართ, ვინაიდან, ის ვინც მტკიცების ტვირთის მატარებელია და ვერ დაამტკიცებს ამა თუ იმ ფაქტს გადაწყვეტილებაც მის საუარესოდ უნდა იქნას გამოტანილი. მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით საპროცესო კანონმდებლობა ზოგადად განსაზღვრავს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს მისთვის სასურველი შედეგის დადგომისათვის საჭირო გარემოებები, შესაბამისად, როგორც საკმაოდ პრობლემური საკითხის, მტკიცების ტვირთის განაწილების შესასწავლად აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სხვადასხვა სახის საქმესთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის გათვალისწინებით მტკიცების ტვირთი მოვალეს აკისრია. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულება შეასრულა და ამით ვალდებულება შეწყდა. მოვალეს ესაჭიროება სათანადო მტკიცებულება, რომ შეწყვეტის მიზნით ვალდებულების შესრულების

[85] ზ. ძლიერიშვილი, თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი I, თბილისი, 2014. 287

[86] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 04 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-222-2021 .

[87] ბიოლინგი ჰ, ჭანტურია ლ, „სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბილისი, 2003, 66.

ფაქტი დაამტკიცოს. კრედიტორი ასეთი დოკუმენტის გაცემით ადასტურებს, რომ მან შესრულება მიიღო, ვალდებულება შესრულდა და შეწყვეტილია. პრაქტიკაში ვალდებულების შესრულების ან/და მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის სხვადასხვა სახე არსებობს, როგორიცაა: ქვითარი, მიღება-ჩაბარების აქტი, ხელწერილი, საბანკო გადარიცხვის ამონაწერი და სხვა.[88] მაგალითად, სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულების დადების სავარაუდოობისას მოსარჩელეს ეკისრება თანხის გადაცემის ფაქტის დამტკიცების ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, თავის მხრივ მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს, იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნორმა არ განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს, შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, გამსესხებელს ნივთის გადაცემის მტკიცების ტვირთი ეკისრება. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სესხი არ წარმოადგენს ფორმასავალდებულო გარიგებას, მხარეებს უფლება აქვთ აირჩიონ, როგორც წერილობითი, ასევე, ზეპირი ფორმაც. თუმცა გარიგების ფორმა პირდაპირ გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთის განაწილებაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება ზეპირი ფორმითაა დადებული ნივთის გადაცემის ფაქტის დადასტურება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით არასაკმარის მტკიცებულებად არის მიჩნეული, საჭიროა სხვა დამატებითი მტკიცებულებებიც, როგორიცააა ხელწერილი, პირადი მიმოწერა ან სხვა რაიმე წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხელშეკრულების არსებობას.[89]

ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელე ითხოვდა ჩუქების ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობას და წილის მიკუთვნებას უძრავი ქონებიდან, ხოლო მოპასუხე მხარე შეგებებული სარჩელით ითხოვდა განქორწინების რეგისტრაციის დადგენას, აღნიშნულ საქმეში არ დაკმაყოფილდა სარჩელი და დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი. საკასაციო სასამართლომ აღნიშნულ საქმეში გამოიყენა სამოქალაქო სამართალისა და საპროცესო სამართალის შესაბამისად დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების ობიექტური და სამართლიანი სტანდარტი სადავო გარემოებების დადასტურების მიზნით და აღნიშნა, რომ მტკიცების მოვალეობა აქვს იმ მხარეს, რომელიც ამტკიცებს ამა თუ იმ ფაქტის არსებობას და არა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელიც უარყოფს ამ ფაქტს, აღნიშნულიდან გამომდინარე,[-0პ საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს ამ შემთხვევაში ევალებოდა სადავო განქორწინების ფაქტის ფიქციურობის დადასტურება, რაც მან ვერ განახორციელა და შედეგიც შესაბამისი დადგა.[90] ამ შემთხვევაში ვხედავთ, კლასიკურ მაგალითს მტკიცების ტვირთის ვალდებულების დარღვევით წარმოშობილ შედეგთან დაკავშირებით. მხარე, რომელიც არღვევს ვალდებულებას ამტკიცოს მისთვის სასურველი ფაქტობრივი გარემოება, როგორც კანონმდებლობის თვალსაზრისით აგრეთვე სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისადაც იღებს მისთვის არახელსაყრელ შედეგს.

ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე[91] საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი.

---

[88] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივლისის №ას-346-2021 განჩინება

[89] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე № ას-1245-1168-2015.

[90] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინება საქმეზე Nას-749-717-2016.

[91] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ას-182-2022.

სავინდიკაციო სარჩელი ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ მესაკუთრეს, რომელსაც ჩამოერთვა მფლობელობა, შეუძლია ნივთი მოითხოვოს მფლობელისაგან, რომელიც არაკეთილსინდისიერად აკავებს ნივთს. საკუთრების უფლებამ ნივთზე სრული ბატონობა უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ფაქტობრივი ბატონობა - მფლობელობის სახით. ცხადია, მესაკუთრეს სხვა უფლებამოსილებებთან ერთად აქვს მფლობელობის უფლებაც და თუკი მოხდება საკუთრების მფლობელობის ჩამორთმევა, მას შეუძლია არაუფლებამოსილ მფლობელს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დაადასტურა საკუთრების უფლების არსებობა სადავო ქონებაზე. ასევე, უდავოა, რომ მოპასუხე ფლობს სადავო უძრავ ნივთს. შესაბამისად, სწორედ მოპასუხე მხარეს ეკისრებოდა იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მისი მფლობელობა მართლზომიერია. აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულება კი მან სასამართლოს ვერ წარუდგინა, შესაბამისად, ვერ დაიცვა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი და შედეგიც მიიღო შესაბამისი.

რაც შეეხება საოჯახო სამართლებრივ დავებს, მაგალითად ალიმენტის დაკისრებასთან დაკავშირებულ დავაში,[92] საკასაციო საჩივრის ავტორი გამოყენებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად, მოსარჩელის წინაშე დავალიანების არარსებობას და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდის შესახებ ვალდებულების შესრულებას მიუთითებდა. ამ არგუმენტთან მიმართებით, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება, რომელიმე მხარეს დაეკისროს ნეგატიური გარემოების მტკიცების ტვირთი, რადგან ობიექტურად შეუძლებელია იმის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, რაც არ მომხდარა. შესაბამისად, ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორი მასზე სასამართლო გადაწყვეტი-

[92] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 31 მარტის განჩინება საქმეზე №ას-217-2022.

ლებით დაკისრებული ალიმენტის გადახდის ვალდებულებას ასრულებდა და დავალიანება არ გააჩნდა, სწორედ მას უნდა დაემტკიცებინა, რაც არ განუხორციელებია. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ხსენებულ არგუმენტს არადამაჯერებლად მიიჩნევს იმის გათვალისწინებითაც, რომ განსახილველ დავაზე წარმოდგენილ სარჩელში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხე განქორწინებამდე იხდიდა გარკვეულ თანხებს ალიმენტის სახით, თუმცა განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი, იგი ფაქტობრივად უმნიშვნელო თანხას იხდის შვილის დასახმარებლად. ამავე საქმეზე წარმოდგენილ შესაგებელში მხარემ პრეტენზია გამოხატა მხოლოდ დასაკისრებელი ალიმენტის ოდენობაზე და მიზერული თანხების გადახდის ან/და თანხის გადაუხდელობის შესახებ არგუმენტის საწინააღმდეგო შედავება არ განუხორციელებია, ამასთან არც შესაბამისი თანხების გადახდის შესახებ მტკიცებულება წარმოუდგენია, რაც საკასაციო პალატას აფიქრებინებს, რომ საჩივრის ავტორის აღნიშნული არგუმენტი უსაფუძვლოა. საბოლოოდ კი საჩივრის ავტორმა მტკიცების ტვირთი, რომელიც მას ეკისრებოდა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოუდგენლობის გამო ვერ დაიცვა, შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობითა და საკასაციო პალატის დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია შრომითსამართლებრივი დავები, რომელთა შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. საკასაციო სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით დამკიდრებულ პრაქტიკას მიჰყვება და განმარტავს, რომ მტკიცებულების წარმოდგენის თვალსაზრისით დასაქმებულსა და დამსაქმებელს არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ, ვინაიდან მოსარჩელე, რომელიც უთითებს სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე, ვერ შეძლებს დაადასტუროს სამსახურიდან დათხოვნის უკანონობა, აქედან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი დამსაქმებლის მხარეს ბრუნდება და მას აკისრებს ვალდებულებას დაამტკიცოს სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერება. ვინაიდან, დამსაქმებელს აქვს უპირატესობა წარადგინოს მტკიებულებები, იმასთან დაკავშირებით რომ დასაქმებულმა არაჰეროვნად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა ან არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, უნარ-ჩვევები, რაც გამოიხატა კონკრეტული ქმედებით, ხოლო დასაქმებული მოკლებულია შესაძლებლობას წარადგინოს ისეთი, მტკიცებულებები, რომლებიც მისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას დაადასტურებს.[93] შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე ვერ დაადასტურებს სამსახურიდან გათავისუფლების გონივრულ საფუძველს ან ვერ წარადგენს კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების არასაკმარისობის მტკიცებულებას, სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს დასაქმებულის სასარგებლოდ.

მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით, ერთობლივად უნდა შეფასდეს, როგორც მატერიალური სამართლის ნორმა, რომელსაც ეფუძნება ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა, აგრეთვე საპროცესო სამართალი და მოსამართლის როლი მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესში. ცხადია, მოსამართლე მტკიცების ტვირთის განაწილებისას ზოგად, სამართლიან და ობიექტურ სტანდარტს უნდა მიჰყვებოდეს, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის ადგენს, თუმცა არსებობს რიგი შემთხვევები, მაგალითად, შრომითსამართლებრივი დავები, რომელიც არ ექცევა აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში და სასამართლოს მხრიდან შერჩეულ მიდგომას საჭიროებს. ამრიგად, მტკიცების ტვირთის განაწილებისას მნიშვნელოვანია კუმულაციურად გათვალისწინებულ იქნას, როგორც კანონმდებლობა, ისე სასამართლო პრაქტიკით დადგენილი პრეცედენტები.

[93] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 11 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1280-2021 .

დასკვნა

მტკიცების ტვირთი წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტს, რომელიც განაპირობებს მხარეთა თანასწორობას, პროცედურული სამართლიანობის უზრუნველყოფასა და კანონიერ გადაწყვეტილებას. ის პირდაპირ კავშირშია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებთან, რადგან სწორედ მხარეებს ეკისრებათ სადავო ფაქტების დასაბუთების პასუხისმგებლობა.

მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება განსაზღვრავს პროცესის წარმატებას. არაერთ სამართლებრივ სისტემაში ეს პრინციპი განსხვავებული ფორმით, მაგრამ ერთიანი მიზნებით არის განმტკიცებული — მხარე უნდა ამტკიცებდეს მისთვის სასარგებლო გარემოებებს. მიუხედავად ზოგიერთი სპეციფიკური განსხვავებისა, მაგალითად, შრომით, ოჯახურ ან სამომხმარებლო დავებში, სადაც სასამართლო აქტიურად ერევა ტვირთის გადანაწილებაში სუსტი მხარის დასაცავად, საერთო ღირებულება უცვლელია — მტკიცებითი პასუხისმგებლობა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს განუყოფელ ნაწილს.

ქართული სასამართლო პრაქტიკა ასევე ხაზს უსვამს მტკიცების ტვირთის გადანაწილების მნიშვნელობას სხვადასხვა ტიპის საქმეებში და უსვამს ხაზს იმ გარემოებებს, რომლის არსებობა ან არარსებობა განსაზღვრავს გადაწყვეტილების სამართლიანობას. მტკიცების ტვირთის ეფექტური და ზუსტი წარმართვა, მათ შორის მისგან განშტოებული სტანდარტების გათვალისწინებით, აუცილებელია სამოქალაქო მართლმსაჯულების ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

ბიბლიოგრაფია:

1. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2005.
2. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2015.
3. გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
4. თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
5. ჰერმანი თ., მტკიცებულებითი სამართალი, ეთერ ჩაჩანიძის თარგმანი, თბილისი, 2016.
6. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა "სამართალი", თბილისი, 2007.
7. მესხიშვილი ქ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, რჩეული მუხლები, თბილისი, 2020.
8. ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2003/2004.
9. ლილუაშვილი გ., სამოქალაქო საქმეებზე ამერიკის მტკიცებულებითი სამართალი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2010.
10. ამილახვარი თ., მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში, მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2016.
11. ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართულ-გერმანული შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015.
12. გაგუა ი., სამართლის როლი და ფუნქცია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას, სამართლის ჟურნალი N1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.
13. ნორმატიული აქტები: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მათ შორის 1964 წლის რედაქციაც); საქართველოს კონსტიტუცია.
14. სასამართლოს აქტები: უზენაესი სასამართლოს სხვადასხვა განჩინებები (2009–2022 წწ.), მათ შორის: №ას-1206-1166-2016, №ას-664-635-2016, №ას-1352-2021, №ას-679-2021, №ას-862-2019, №ას-1167-1429-09 და სხვა.

15. უცხოური წყაროები:
- Code de procédure civile (France). https://www.legifrance.gouv.fr/codes/id/LEGITEXT000006070716/
- German Code of Civil Procedure – ZPO. https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/
- French Civil Code (Art. 1315). https://www.fd.ulisboa.pt/.../ Codigo-Civil-Frances-French-Civil-Code...
- German Civil Code – BGB. https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/
- Nunner-Krautgasser B., Anzenberger P., Evidence in Civil Law – Austria, 2015. https://library.oapen.org/.../620430.pdf
- Tamošiūnienė E., Bolzanas D., Augytė-Kamarauskienė L., Evidence in Civil Law – Lithuania, 2015. https://www.pf.um.si/.../evidence_in_civil_law_-_lithuania.pdf
- Oudin M., Evidence in Civil Law – France, 2015. https://library.oapen.org/.../620432.pdf
- Mallandrich Miret N., Evidence in Civil Law – Spain, 2015. https://library.oapen.org/.../620440.pdf
- Gottwald P., Beweislast und Beweisführung im Wettbewerbsprozeß, GRUR Int 1982.
- Hagenlocher U., მტკიცების ტვირთი გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2018. http://lawlibrary.info/.../Onus_of_Proof.pdf
- Miller V., The Burden of Proof in Civil Lawsuits, Maryland, 2021. https://www.marylandinjurylawyerblog.com/burden-proof-civil.html
- Crump B., What Is Burden of Proof and Why Is It Important?, 2019. https://bencrump.com/.../what-is-burden-of-proof
- Tangeman J. M., Judicial Council of California Civil Jury Instructions, LexisNexis Matthew Bender, 2021. https://www.justia.com/.../caci.pdf
- Redmayne M., Standards of Proof in Civil Litigation, Modern Law Review.

https://ejournals.atsu.ge/BLSS/eJournal/Papers/KhurtsilavaRobizoni1.pdf

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა
2025 წლის 4-5 ივლისს
მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია
"თანამედროვე განვითარების ეკონომიკური,
სამართლებრივი და სოციალური პრობლემები".